




სახელმწიფო მოგება, გაზრდილი დოლარიზაცია და მყარი ადგილობრივი მოთხოვნა განსაზღვრავს საქართველოს მოკლევადიან ეკონომიკურ ზრდას

გრაფიკი 1. საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის უახლესი პროგნოზების მიხედვით, სექტემბრის მონაცემებზე დაყრდნობით, მოსალოდნელია **2025 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს ეკონომიკის 6.7%-ით, ხოლო 2026 წლის პირველ კვარტალში 5.2%-ით ზრდა**. ჩვენი პროგნოზის თანახმად, 2025 წელს წლიური ზრდა **7.6%** იქნება.




მონეტარული ინდიკატორებიდან, 2025 წლის სექტემბერში უცხოური ვალუტის დეპოზიტები (FC_DEPTOT) წლიურად 13.8%-ით გაიზარდა, რაც დოლარიზაციის ზრდაზე მიუთითებს. ამავდროულად, ეროვნული ვალუტის დეპოზიტები (NC_DEPTOT) წლიურად 13.3%-ით გაიზარდა, ხოლო M2 აგრეგატი – 12.5%-ით, რაც უფრო აქტიურ მონეტარულ პირობებსა და მოთხოვნის მხარის უფრო ძლიერ დინამიკაზე მიუთითებს. საერთო ჯამში, მიუხედავად დეპოზიტების დოლარიზაციის ზრდისა, მონეტარულმა ინდიკატორებმა დადებითი წვლილი შეიტანეს პროგნოზში.


სექტემბერში ექსპორტი 14.2%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი – 2.5%-ით, რამაც სავაჭრო დეფიციტი 6.2%-ით შეამცირა¹. წმინდა ექსპორტის ეს გაუმჯობესება დადებითად აისახა მშპ-ის პროგნოზზე. უფრო ძლიერმა სავაჭრო ბალანსმა მოკლევადიან პერიოდში შესამჩნევი სტიმული მისცა ეკონომიკურ აქტივობას, თუმცა მისი გრძელვადიანი წვლილი მდგრად ზრდაში ზომიერი რჩება ექსპორტის შემადგენლობის გამო.

¹ საქსტატი, 21.11.2025

სექტემბერში რუსული რუბლი ლართან მიმართებაში 2.5%-ით, თურქული ლირა კი 0.6%-ით გაუფასურდა; ლართან მიმართებაში გამყარდა შემდეგი ვალუტები: აშშ დოლარი – 0.5%-ით, ევრო – 0.5%-ით. გაცვლითი კურსის ამ ცვლილებების საერთო გავლენა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე მცირე და უარყოფითი იყო. ამავდროულად, ოფიციალური სარეზერვო აქტივები თვითურ ჭრილში 4.3%-ით გაიზარდა, რაც გარე ლიკვიდურობის პირობების გაუმჯობესებაზე მიუთითებს.



2025 წლის სექტემბრის მდგომარეობით, წლიური ინფლაცია 4.8%-ს შეადგენდა, რაც აღემატებოდა ეროვნული ბანკის 3%-იან სამიზნე მაჩვენებელს. ამავე დროს, Euro Brent-ის სპოტ ფასი წლიურად 8.1%-ით შემცირდა, რამაც შეამსუბუქა გლობალური საფასო წნეხი. მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის ფასები მნიშვნელოვანი ფაქტორია საწარმოო საშუალებების ხარჯების თვალსაზრისით, ინფლაციამ დადებითი გავლენა მოახდინა მშპ-ის პროგნოზზე.



მშპ-ის პროგნოზის მეთოდოლოგია

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენი მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage'-ს) აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.